ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის Erasmus+ გაცვლითი პროგრამა
კარდიფის უნივერსიტეტში, დიდი ბრიტანეთი

საბუთების წარდგენის ბოლო ვადა: 15 ივნისი, 2016

გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მობილობისთვის კარდიფის უნივერსიტეტში, დიდი ბრიტანეთი.

კონკურსი ცხადდება შემდეგ მობილობებზე:

აკადემიური საფეხური	სტიპენდიატების რაოდენობა	მობილობის ხანგრძლივობა
აკადემიური პერსონალი	3 თანამშრომელი	14 დღე

!!! კანდიდატებს მოეთხოვებათ:

- დაწერონ/შეადგინონ/განავითარონ ტრავმაზე ფოკუსირებულ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიაში ტრენინგისა და ტრენერთა ტრენინგის სახელმძღვანელო
- ჰქონდეთ ღრმა სისტემური ცოდნა ფსიქოტრავმატოლოგიაში, ფსიქიკურ ჯანმრთელობაში
- ჰქონდეთ ტრავმაზე ფოკუსირებული თერაპიის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება
- ჰქონდეთ ტრენინგის სახელმძღვანელოს შედგენის გამოცდილება

მობილობის ვადები:

- პერსონალის მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს 2016 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში. მობილობის ზუსტი ვადები შეთანხმებულ უნდა იქნას მასპინძელ უნივერსიტეტთან.

სტიპენდიის რაოდენობა:

- პერსონალისთვის - 160 ევრო დღეში

კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები:

- პერსონალი კონკურსის მიმდინარეობისას უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შტატიანი ან ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომელი.

სააპლიკაციო დოკუმენტები:

ყველა საბუთი უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე

	პერსონალი
პირადობის მოწმობის / პასპორტის ასლი	√
შევსებული სააპლიკაციო ფორმა[1]	√
EUROPASS CV	√
მოტივაციის წერილი ადმინისტრაციული საქმიანობის გეგმის აღწერით	√
ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა[2]	√
ბოლოს მიღებული უმაღლესი განათლების საფეხურის დიპლომი დანართითურთ	√

სააპლიკაციო დოკუმენტები (.pdf ფორმატით) მიიღება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: erasmusplus@iliauni.edu.ge. კანდიდატებმა ელ-ფოსტის სათაურში უნდა მიუთითონ: **განაცხადი - კარდიფის უნივერსიტეტი.**

მნიშვნელოვანია!

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ განიხილება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადები. დაუშვებელია კონკურსისათვის საჭირო დოკუმენტების ეტაპობრივად გამოგზავნა. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატი ავტომატურად მოიხსნება განხილვის პროცედურიდან.

დეტალური ინფორმაცია კარდიფის უნივერსიტეტში მობილობის შესახებ იხილეთ ბმულზე:
http://www.cardiff.ac.uk/

დამატებითი შეკითხვებით მიმართეთ:
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგარეო ურთიერთობების სამსახურს
erasmusplus@iliauni.edu.ge

[1] პერსონალის სააპლიკაციო ფორმა

[2] პერსონალისთვის - B2. TOEFL ან IELTS ცნობა სავალდებულო არ არის, თუმცა სერტიფიკატის მქონე კანდიდატებს შესაძლოა მიენიჭოთ უპირატესობა. თუ კანდიდატს მიღებული აქვს წინა განათლება ინგლისურენოვან პროგრამაზე, სერტიფიკატი/ცნობა აღარ მოითხოვება.